1.სკოლისთვის მნიშვნელოვანია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შემუშავებულია სკოლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ამ ეტაპზე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად ესწრება საგაკვეთილო პროცესს, უკუკავშირი მასწავლებელს მიეწოდება ზეპირი ფორმით. სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების კვლევა, მათი განვითარებისათვის საჭირო ტრენინგების, სემინაერების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება სკოლას წერილობითი ფორმით არ აქვს შემუშავებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრულ ვალდებულებას და მასწავლებლებს მათი სტატუსის მიხედვით დაესწროს შესაბამისი რაოდენობის გაკვეთილებზე, რათა დაადგინოს საჭიროება და საჭიროების გადაჭრის გზები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობების მაგალითებს, საკუთარი ინიციატივით ესწრებოდნენ ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში საგნობრივი ქოუჩების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო შეხვედრებს. კათედრებზე „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი ორიენტირებულია მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერასა და თანადგომაზე. მასწავლებლების განმარტებით, სკოლის ადმინისტრაცია მაქსიმალურად უჭერს მხარს, მათ ჩართულობას პროფესიული განვითარების აქტივობებში. სკოლას არ აქვს შემუშავებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.12.2023 წ. პერიოდში სკოლამ უნდა უნდა შეიმუშაოს ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის დებულება.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

3.სკოლა ხელს უწყობს მასწავებელთა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად მასწავლებელთა გადამზადებისათვის ტრენინგებზე რეგისტრაციასა და დასწრებას. 2023-2030 წლების სტრატეგიული გაგმის და 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მიზანს პერსონალთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს.პერსონალის კარიერულ ზრდა-განვითარებას სკოლაში მხარდაჭერი ჯგუფის, კათედრების, დირექციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და უკუკავშირს ემატება USID -ის მიერ დაფინანსებული საბაზისო განათლების პროექტი, რომელიც მოიცავს I-IV კლასის მასწავლებლების ტრენინგებს. ტრენინგებში მონაწილეობს სკოლის ერთი ლიდერი მასწავლებელი, რომელიც სემდგომ თვითონ გადასცემს კოლეგებს მიღებულ ცოდნასა და უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ხდება. ახალ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომლის განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი. როგორც დირექციასთან და პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, ახლად დასაქმებულ პედაგოგს სკოლაში ხვდება პოზიტიური გარემო, აცნობენ სკოლის ისტორიას, თემს, ორგანიზაციულ კულტურას; ხდება სკოლის შენობის და ტერიტორიის დათვალიერება, გამოცდილების გაზიარება. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია***

5.სკოლა მხარს უჭერს განვითარებასთან დაკავშირებულ მასწავლებლების შემოთავაზებულ ინიციატივებს, როგორც სკოლის შიგნით გასახორცილებელი აქტივობებში, ასევე სკოლის გარეთ. სკოლის პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გადაწყვეტილებით ერთი პედაგოგი წარდგენილ იქნა სტატუსის შეცვლაზე განსაკუთრებული წესით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვიტარების გეგმა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 საწავლო წლის სამოქმედო გეგმ;
- მასწავლებელთა ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები/ცნობები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ბრძანება;
- მასწავლებლის პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, რევიზიის მიხედვით. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ტარდება კათედრების შეხვედრები, დგება წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სკოლის დირექტორი შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების დროს სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო სასწავლო გეგმით. სემესტრის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება მიღწევების განხილვა და შედეგების ანალიზი. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების და რეკომენდაციის სამომავლოდ გათვალიწინების მიზნით. წლის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოზე ხდება პედაგოგებისა და სკოლის დირექტორის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ შემუშავებული ანგარიშის წარდგენა. ამასთანავე კალენდალური წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამურვეო საბჭოს წარუდგენს სასწავლო პროცესის ანგარიშს. რეკომენდაციები გათვალისწინებულია მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვისას. სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.12.2023 წ. პერიოდში უნდა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2.მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით აღწერილი და იდენტიფიცირებული არ არის. პროცესულ მიდგომასთან და დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია სხვადასხვა დოკუმენტში. შინაგანაწესის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტები შინაარსების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლაში ვიზიტმა ცხადყო, რომ დასაქმებულმა პირებმა იციან რა, როდის უნდა გააკეთონ და რაზე აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის შინაგანაწესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს გასაჩივრებისა და რეაგირების პასუხის გაცემის პროცედურებს. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა დისციპლინური დევნა, დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესები. სკოლაში საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელი არის სკოლის დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი, მაგრამ პერსონალთან და მშობელტან/კანონიერ წარმომადგენელტან დადებული ხელსეკრულება ითვალისწინებს მათი უფლებების დაცვას. სკოლაში შემოსული განცხადებების/ საჩივრების რეგისტრაცია და მათზე რეაგირება ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და კანონმდებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლაში შემოსული განცხადებების/ საჩივრების რეგისტრაცია და მათზე რეაგირება ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.12.2023 წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინურ კომიტეტში წევრის წარდგენის შესახებ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: სკოლის სამივე კორპუსში განთავსებული საინფორმაციო დაფები, სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, Teams პლატფორმა და ელექტრონული ჟურნალი, ასევე საჭიროების შემთხვევაში სატელეფონო კავშირები, მშობელთა კრებები. კლასის მოსწავლების მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები, რა დროსაც ხდება ინფორმაციის გაზიარება და მოსაზრებების გაცვლა-განხილვა. უკუკავშირის მიღებისას ხდება შესაბამისი რეაგირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სასკოლო საზოგადოების წევრების სკოლის მართვაში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილნი არიან წევრებად სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში: სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია მშობელი, კოსწავე და მასწავლებელი, პედაგოგიურ საბჭოში წარმოდგენილია მასწავლებელბი, დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლე და მშობელი, მასწავლებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს კენჭისყრის შედეგები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინურ კომიტეტში წევრი მშობლის კანდიდატის დასახელების შეასხებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქმნის მრჩეველთა საბჭოს. სკოლა ოპტიმიზირებულია, რის გამოც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამ კორპუსში. სამივე კორპუსს ჰყავს დარაჯი, სკოლის არცერთი კორპუსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არ არის აღჭურვილი ვიდეო სათვალთვალო კამერებით. უცხო პირთა გადაადგილებას სკოლაში აკონტროლებს სართულის მორიგე მასწავლებლები და დამლაგებელი. სამივე კორპუსის დერეფნებში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის სია. სკოლას არ ჰყავს მანდატური, მის ფუნქციას ასრულებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ ძირითადი კორპუსის უსაფრთხოების დაცვას. საევაკუაციო გეგმა განთავსებულია მხოლოდ ძირითადი კორპუსის სართულებზე. საგანგებო სიტუაციების გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამასახურს შეთანხმებული აქვს მხოლოდ ძირითადი კორპუსისათვის. სახანძრო უსაფრთხოების დაცვისათვის ცეცხლმაქრები განთავსებულია მხოლოდ ძირითად კორპუსში. სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოხდა ძირითადი კორპუსის დათვალიერება, მომზადებული დასკვნა შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთოების შესახებ ეტაპზე მიღებული არ აქვს. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 ივნისის ბრძანება N 2-1/228 საფუძველზე სკოლის N3 კორპუსი, რომელიც მდებარეობს ლეჟას უბანში აღიარებულ იქნა ვარგისად და გაცემულია დასტური ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლის N3 კორპუსში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი.

დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.11.2024წ. პერიოდში სკოლის N2 და N3 კორპუსისათვის სკოლამ უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან უნდა შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; უნდა უზრუნველყოს სკოლის გარე და შიდა ტერიტორიის ვიდეოსთვალთვალო კამერებით კონტროლი; მოაწესრიგოს სახანძრო უსაფრთხოება. უნდა უზრუნველყოს თითოეული კორპუსისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისის კვალიფიკაციის მქონე ექიმის/ექთნისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

2.სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალება სპეციალურად განსაზღვრულ პირსა და მორიგე მასწავლებლებს. კლასის დამრიგებლები მათი ფუნქციიდან გამომდინარე, ვალდებულები არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს მასზე რეაგირება. შინაგანაწესში განსაზღვრულია დარღვევის სახეები და შესაბამისი სახდელები. სკოლას არ აქვს შექმნილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის დოკუმენტი. უცხო პირთა გადაადგილების კონტროლს უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები და დამლაგებლები.

დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

3.სკოლის შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, სასკოლო საზოგადოების წევრებთან (დასაქმებული და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. სკოლას შემუშავებული არ აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები.

დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 - 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.**

4. სკოლას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად სესყიდული აქვს საჭირო ინვენტარი. სკოლის სამივე კორპუსში მუშაობს შტატით გათვალისწინებული თითო დამლაგებელი და სოციალური პროგრამით დასაქმებული თითო დამლაგებელი და თითო მეეზოვე. ამასთანავე სკოლას ჰყავს სამი ცეცხლფარეში. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებულია სადეზინფექციო ხსნარები. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა განათლებას ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ. სასმელი წყალი სკოლას მიეწოდება ჭაბურღილის საშუალებით. სკოლის ძირიტადი ორპუსის ეზოში მდებარეობს სასმელი წყლისათვის განკუთვნილი ჭა.

სკოლის სამივე კორპუსში განლაგებულია კეთილმოწყობილი საპირფარეშოები განკუტვნილი გოგონებისა-და ბიჭებისათვის. სკოლას ცალკეული დოკუმენტის სახით შემუშავებული არ აქვს სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი.

დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 - 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმი. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმეები ინახება მესამე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას. სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. სკოლას არ აქვს მიღებული თანხმობა ყველა მოსწავლისაგან საგანმანათლებლო საჭიროებისათვის ფოტო და ვიდეო მასალების სოციალურ ქსელში განთავსებასთან დაკავშირებით.
დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 - 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი;
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

6. სკოლა მონაცემების შეგროვებას, დამუსავებას და დაცვას ახდენს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსებით ხელი ეწყობა სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმი.
დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 - 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს ინფორმაციის დაცვის მექანიზმი.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

7. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს არსებულ მდგომარეობას. აღნიშნულის ხელშესაწყობად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, პერიოდულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები. სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები.
დასკვის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 - 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სკოლის შინაგანაწესი;
- სახანძრო ინვენტარი;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლასა და ექთანთან გაფორმებული; ხელშეკრულების ნიმუში;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- წალენჯიხის მერის ბრძანება N3 კორპუსის ექსპლუატაციის შესახებ;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლასა და დამაგებელტან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის საჯარო სკოლა ოპტიმიზირებული სკოლაა. სკოლა შედგება სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებულ სამი კორპუსისაგან.
ა) სკოლის ძირითადი კორპუსი მდებარეობს 22041.00კვ.მ მიწის ფართობზე. მიწის საკადასტრო კოდია N47.06.30.003. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 19/11/2014 წელს. სკოლის ეზოში განთავსებულია ოთხი შენობა, მათგან ორი დემონტაჟს ექვემდებარება. ერთი შენობა გამოიყენება სათავსოდ. სასწავლო შენობა სამსართულიანია. სკოლა სარეაბილიტაციო. რეაბილიტირებულია საპირფარეშოები და კარ-ფანჯრები. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სასწავლო კლასები განლაგებულია მეორე და მესამე სართულზე. სკოლის ეზოში არის ორი ღია სპორტული მოედანი ფეხბურთისა და ფრენბურთისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ზოგადი განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროგრამის სამივე საფეხურზე. ძირითად კორპუსში სწავლობს 56 მოსწავლე. სკოლას აქვს მოსწავლეთთათვის საჭირო რაოდენობის მერხები. მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია 2 კომპიუტერი. სკოლას აქვს სამი პრინტერი და 4 პროექტორი. სკოლის გარკვეული რაოდენობის წიგნთა ფონდი განთავსებულია დირექტორის კაბინეტში.სკოლის ეზოში გაშენებულია თხილი, რომლისგან
მიღებული შემოსავალი აყვანილია სკოლის ბალანსზე. სკოლას არ აქვს პანდუსი. სკოლაში დამონტაჟებულია
გათბობის სისტემა.

ბ) სკოლის N2 კორპუსი მდებარეობს ნაკიფუს თემის ნანჯარუს უბანში. მიწის საკადასტრო კოდია N 47.06.35.002 . მიწის ფართობია 6000.00კვ.მ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 19/11/2014 სკოლაში სწავლობს 30 მოსწავლე. სკოლა ერთსართულიანია. სწავლება მიმდინარეობს ზოგადი განათლების პროგრამის დაწყებით და საბაზო საფეხურზე. წელს. სკოლა სარეაბილიტაციოა. რეაბილიტირებულია ფანჯრები და საპირფარეშოები. არის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას არ აქვს ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი. ეზოში არის ღია სპორტული მოედანი, რომელიც არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია 2 კომპიუტერი.
სკოლაში არ არის დამონტაჟებული გათბობის სისტემა.
გ) სკოლის N3 კორპუსი მდებარეობს ნაკიფუს თემის ლეჟას უბანში . მიწის საკადასტრო კოდია N 47.06.42.122 . მიწის ფართობია 7998.00 კვ.მ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 18/08/2023 წელს. სკოლაში სწავლობს 16 მოსწავლე. სწავლება მიმდინარეობს ზოგადი განათლების პროგრამის დაწყებით და საბაზო საფეხურზე.
სკოლა სრულად რეაბილიტირებულია, რეაბილიტირებულია სკოლის ეზოც და ღობეც. სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო, ოთახი განკუთვნილი კვებისათვის, ექიმის კაბინეტი. არის განკუთვნილი ოთახი საბუნებიმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიისათვის.სკოლის შენობაში არ არის სპორტული დარბაზი. სკოლის ეზოში მდებარეობს ღია სპორტული მოედანი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ეზოშია განთავსებულია ბიო გამწმენდი და საქვაბე. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა.
მათთვის ხელმისაწვდომია 7 ლეპტოპი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. დირექტორის კაბინეტში განთავსებულია წიგნთა ფონდი, რომლის სარგებლობის უფლებაც აქვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. სკოლა არ აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მაგრამ აწარმოებს წიგნთა მატერიალურ აღრიცხვას. სპორტული მოედანი და კომპიუტერები ყველასათვის ხელმისაწვდომია.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 - 22.12.2023წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

3.სკოლის კულტურა ითვალისწინებს რესურსების თანაბარ ხელმისწავლდომლობას ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოცემულ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები. სკოლის N2 და N3 კორპუსის მთავარ შესასვლელთან გათავსებულია პანდუსი. სკოლის სამივე კორპუსში არის ადაპტირებული საპირფარეშო. ამ ეტაპზე, საჭიროების არარსებობის გამო, რესურსოთახი სკოლაში არ არის, მაგრამ დირექციის თქმით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სივრცის გამოყოფა.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 21.11.2024წ. პერიოდში უნდა მოეწყოს სკოლის ძირითადი კორპუსის შესასვლელი პანდუსი.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

4.სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და სკოლის შენობა-ნაგებობაში მატერიალური რესურსის გამოყენების განრიგებით ხელი ეწყობა საკლასო ოთახებისა და საერთო სივრცეების სოციო-კულტურულ სივრცეებად გარდაქმნას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ფოტო მასალითა და ჩატარებული გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ სივრცეებში აქტიურად ტარდება სპორტული და შემეცნებითი საგანმანათლებლო აქტივობები, რომელშიც ჩართულები იქნებიან სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები და მოწვეული სტუმრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარებისათვის სკოლას აქვს ბურთები, რაგბის ინვენტარი, ჭადრაკის დაფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ისტორია - გეოგრაფიისათვის არის რუკები, ასევე სკოლას შეძენილი აქვს პლაკატები. ყველა საკლასო ოთახში განლაგებულია დაფები. პრორექტორებისა და ლეპტოპების რაოდენობა საჭირო ონლაინრესურსის მოძიების საშუალებას იძლევა. სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. საჭიროების შემთხვევაში იყენებენ სხვა დამხმარე ლიტერატურასაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის შენობების შიდა აზომვითი ნახაზები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ინვენტარის შეძენისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის წიგნების კატალოგი
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას აქვს 4 პროექტორი, 3 პრინტერი, ლეპტოპები. სკოლის ძირითად და N3 კორპუსებში დამონტაჟებულია უკაბელო ინტერნეტი. სკოლის ადმინისტრაცია მართვის პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ინფორმაციის გაცვლის ელექტრონულ სისტემებს. არსებული კომპიუტერების ნაწილი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ვიზუალური დათვალიერება და სკოლის პერსონალთან გასაუბრება ადასტურებს აღნიშნული სივრცეების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, მასწავლებლების განმარტებით სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისთვის და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ ყოველთვის ხელმისაწვდომია სკოლის კომიუტერელი ტექნიკა. საჭიროების შემთვევაში კი ტექნიკური ხარვეზის წარმოქმნისას მათ აქტიურად ეხმარებათ სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესი შემუშავებული

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.12.2023 წ. პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს ინფორმაციულ-საკომინიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების წესი.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის მიღება-ჩაბარების აქტები
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტების შესახებ სურათების ვიზუალური დათვალიერება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სკოლის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აკინძულია და ინახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის სისტემა eflow. სადაც ხდება შემოსული და გასული კორესპონდენციის ელექტრონული წარმოება, დირექტორის ბრძანებების, სამსახურეობრივი ბარათების და წერილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ასახვა. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილი არის ანგარიშები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. Eschool-ის ბაზაში სკოლისათვის გამოყოფილი ყველა სივრცე შევსებულია შესაბამისი ინფორმაციით. ინფორმაციის განთავსება ხდება დადგენილი წესითა და ვადებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად კონტროლის განმახორციელებლ უწყებებს წარუდგენს ანგარიშებს. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი ;
- Eschool-ის ბაზა, Eflow;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 10 დეკემბრის ანგარიშები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ.გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე განთავსებულია სკოლის სკოლის მისია , ხედვა , ღირებულებები. სკოლა აქტიურად იყენებს სასკოლო საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ ფეისბუქ გვერდს, რომელზედაც თავსდება ინფორმაციები და ფოტო და ვიდეო მასალები განხორციელებული პროექტების, ღონისძიებებისა და სიახლეების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა სოციალურ ქსელში განთავსებულ ინფორმაციას წარმოადგენს მტკიცებულებებით. ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციის გადამოწმება. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის სანდოობაზე ოფიციალურად პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა უკუკავშირს იღებს მშობელთა კრებების და სოციალური ქსელის საშუალებით;. სკოლის წარმომადგენლობა უკუკავშირის შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ. გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. .სკოლა აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ.გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე განთავსებულია სკოლის სკოლის მისია , ხედვა ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ღირებულებები. ვინაიდან ვებ.გვერდი ახალი შექმნილია სკოლა გეგმავს ვებ.გვერდზე განათავსოს ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება სასკოლო საზოგადოებასა და თემს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სკოლის ვებ.გვერდი
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სკოლის ფეისბუქ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომლის ცალკეული კომპონენტებში გათვლილი ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმითა და სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშემწყობი მატერიალური რესურსისა და სხვა დამხმარე საშუალებების შეძენა. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

2.ბიუჯეტის დაგეგმვაში და დამტკიცებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თანხების განკარგვა ხდება ბიუჯეტის მიხედვით, რომელსაც მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. ყოველი წლის ბოლოს სკოლა სამეურვეო საბჭოს აბარებს ფინანსურ ანგარიშს. წლის მანძილზე პერიოდულად ხდება ფინანსური ანალიზის ჩატარება, ინტენსიურად მიმდინარეობს შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სკოლის დირექტორის მხრიდან. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ფინანსური ანგარისის შესახებ.
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. შინაგანაწესში განსაზღვრული არის მოსწავლეთა დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების ფორმები და ა. შ . დოკუმენტში ჩადებული არის გასაჩივრების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემადგენელ სადამრიგებლო პროგრამაში განსაზღვრული დამრიგებლის ფუნქციების შინაარსი მოიცავს მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესაბამის შინაარსს. სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებას იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვაზე. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი სკოლას გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილას. გარდა ამისა სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებს მიიჩნევს. სკოლის კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინატერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სკოლას მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლისმოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.სკოლაში კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის . მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის 04/ნ ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე მიმდინარეობს პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა . კანონით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით ხორციელდება მოსწავლეთა რეგისტარცია. საჭირო დოკუმენტების მიღება ხდება კანონის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოსწავლის მობილობას განახორციელებს მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა მოსწავლის მშობლებს /კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს შინაგანაწესს, შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერსებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ მშობელთა კრებებსა და სოციალური ქსელის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლის შესახებ სიახლეებს მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები იგებენ მშობელთა კრებებიდან და საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ინფორმაციიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის , საფეხურის დაძლევის, მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პირველ კლასში ცარიცხვისნ დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისათვის ხელშემწყობი მექანიზმები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სოციალიზაციის პროცესს. ეს ეხება სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეს თუ პირველკლასელს. აქტიურად თანამშრომლობს ნაკიფუს თემის საბავშვო ბაღთან. აღსაზრდელები აღმზრდელ მასწავლებლებთან ერთად, სკოლის დირექტორის ხელმძღვანელობით პერიოდულად სტუმრობენ სკოლის შენობას, ათვალიერებენ მას და იღებენ ინფორმაციას დაწესებულების მნიშვნელობის შესახებ.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლამ გათვალისწინებულ ვადაში 22.11.2023 – 22.11.2024წ. უნდა შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი.
ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

2. მობილობით მიღებული მოსწავლის ადაპტაციისათვის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეს სკოლის კულტურას. ათვალიერებინებს შენობას, აცნობს მასწავლებლებს და თანაკლასელებს. მნიშვნელოვანია დაწყებითი კალასების შემდეგ მოსწავლეთა ადაპტაცია მეხუთე კლასის სასწავლო პროგრამებთან და გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერის აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სამოქმედო დასტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთი ინდიკატორი იქნება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დამატებით მომსახურეობას აკადემმიური მიღწევის გასაუმჯობესებლად. მშობელს ელექტრონული ჟურნალის და დამრიგებლის საშუალებით შესაძლებლობა აქვთ ინფორმაციას ფლობდნენ თავიანთი შვილების აკადემიურ მიღწევებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
4. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. სკოლას აქვს მზაობა გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოახდინოს რეაგირება მოსწავლის , მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის თუ მოსწავლეთა თვითმმართველობის მომართვაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა გაერთიანებას, მოქალაქეობრივი, კულტურული ცნობიერების, თვითგამოხატვის და სხვა კომპეტენციის კუთხით განვითარდეს. ეს იქნება რაიმე ღირსშესანისნავი დღის სიმბოლური აღნიშვნა , სპორტული, შემოქმედებითი, კულტურული ღონისძიებები თუ შეხვედრის მოწყობა. წლის განმავლობაში სკოლას შეუძლია მხარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაუჭიროს გარკვეულ ინიციატივას, დაგეგმილი ღონისძიებები დაანონსებულია სოციალურ ქსელში რეგულაციებით, პასუხისმგებელი პირის და ვადების მითითებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისას გამოიკვეთა მოსწავლეთა ინტერესები. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნები. სამოქმედიო გეგმაშიც გაიწერა ამ მიზნების მისაღწევი ამოცანები და აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერება და სასკოლო საზოგადოებათან გასაუბრება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო და საშუალო საფეხურზე სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში ტარდება საუბრები, დისკუსიები პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებით. მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ტერიტორიაზე არსებულ, წარმატებულ და დიდი ტრადიციების მქონე პროფესიული კოლეჯ „ლიკადას“ , სადაც იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან მოსწავლეების შემდგომი პროფესიული განვითარების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სადამრიგებლო პროგრამებზე მიღებული უკუკავშირი დამრიგებელს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები და მომავალი თანამშრომლობა მოსწავლეებთან დაგეგმოს მათ მიერ მიღებული უკუკავშირის შედეგებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (სადამრიგებლო პროგრამები);
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ფეისბუქ გვერდი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს. 22.11.2013 – 22.11.2024 წ. პერიოდში სკოლა გეგმავს შეიმუშაო სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

2. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და არ აქვს მასთან მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად ამისა გამოხატავს მზაობას და ცდილობს სკოლის ინფრასტრუქტურა ითვალისწინებდეს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს სსსმ მოსწავლეთა წინსვილსა და განვითარების მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ნახაზები ;
- ვიზუალური დათვალიერება.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება განხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება“ ფარგლებში, რომელსაც კურირებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

2. სკოლაში ამ დრომდე დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა არ ხორციელდება. სკოლის ადმინსიტრაციის განმარტებით, იმისათვის, რომ სამომავლოდ დადგინდეს საჭიროება, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდება კვლევა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით და საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, კანონის შესაბამისი პროცედურების დაცვით, სკოლის მხრიდან განხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული არასავადებულო მომსახურების განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან მხოლოდ მოსწავლეთა ტრანსპორტირებას ახორციელებს. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით არ გამოკვეთილა დამატებითი მომსახურებების საჭიროება, ხოლო არსებობის შემთხვევაში, სკოლა იმოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებთი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგგიური საბჭოს მონაწილეობით შექმნილი, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, კურიულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები, ხაზს უსვამს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას და გულისხმობს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის აქტიურ ჩართულობას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით. სკოლა გამოკვეთს შემუშავების პროცესის ეტაპებს და ამბობს, რომ მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას იწყებს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. საგნობრივ ნაწილში სკოლას აქვს მითითებული ის აქტივობები რომელიც უნდა განახორციელოს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მაგ: საკითხების შერჩევა, საკითხების განსაზღვრა, ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენა, პედაგოგებმა დაასახელეს სასკოლო ჩართულობის მაგალითები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ასევე აღნიშნავდნენ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგიის შექმნისას, მათთვის ამოსავალი იყო სკოლის ფილოსოფია. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ სკოლას არ აქვს დარბაზი. ამიტომ ზუსტად მოარგეს და აირჩიეს ის სასკოლო თემები რომელიც მორგებული იქნებოდა სკოლის ინფრასტუქტურას და მოსწავლეების შესაძლებლობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში, ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობა, შესაბამისად მათი ინტერესებიც ასახულია კურიკულუმში. მომავალი წლისთვის, სკოლა გეგმავს კიდევ უფრო გააძლიეროს ამ მიმართულებით მუშაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავლეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს მშობლებს დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურად რთავენ სასწავლო პროცესში, მათ უზიარებენ(facebook ჯგუფების მეშვეობით) კომპლექსური დავალებების ბარათებსა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებს აცნობენ. თუმცა, აღიარებენ რომ ყველა მშობელის დაინტერესება ამ კუთხით, ჯერჯერობით ვერ შეძლეს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის დაწყებიტი საფეხურის კურიკულუმები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- სადამრიგებლო პროგრამები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, რაც აისახება დაწყებითი კლასების კურიკულუმებში. წარმოდგენილი კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში ეროვნული სასწეავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება სრული შესაბამისობითა და თანხვედრით ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით. სწორედ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით ყალიბდება ის ქვეცნებები და საკითხები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნის სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით სასწავლო პროცესი. სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით მოცული იქნება საგნისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. გარდა აღნიშნული გარემოებისა, კურიკულუმები ორიენტირებულია გლობალურ ფუნქციურ უნარებზე. აღნიშნული უნარების სწავლება განხორციელდება დაგეგმილი კომლექსური დავალებებით და ასევე, კომპლექსური ტიპის პროექტული სახის დავალებებით. ყველა სახის დავალება კი მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებას და პრობლემის უნარის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული საგნის კურიკულუმსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. საგნის სწავლება ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება და მიდგომები აღიალებულია და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით. კერძოდ კი, სწავლისადმი ასეთი მიდგომები დეტალურადაა გაწერილი და ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, კურიკულუმის შედგენის მექანიზმსა და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის სახეს მოსწავლეები თავად ირჩევენ, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი და სხვა. ეს ყოველივე კი ნათლადა და მკაფიოდ იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების უკეთ რეალიზების შესაძლებლობას. საგნის სწავლებისას გამოყენებული სასწავლო რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის ჩართვას ითვალისწინებს ცალსახად. მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკული და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და მზაობაც აქვთ. სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან პიროვნული და პროფესიული მზაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. მოქმდი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი (მე-5 კლასის მეორე სემესტრი, მე-6 კლასი) , ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შედგენის მექანიზმი და საგნობრივი ჭრილით თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი კომპლექსურ დავალებათა პირობებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში. ხოლო განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისას და სად მივიდა, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები იქნება საჭირო მიზნამდე მისასვლელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას ხორციელდება წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მასწავლებლები საკუთარ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კათედრის წევრ კოლეგებს, ახდენენ მათ ანალიზსა და სახავენ ერთობლივად სამომავლო გეგმებს. აღნიშნული პრაქტიკის ნათელი დადასტურებაა იმ შეხვედრის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კათედრის სხდომის ოქმებში. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარე - გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება საჭირო საკითხის ირგვლივ დიაგნოსტირება, რათა მომავალი სასწავლო პროცესი კიდევ უფრო რელევანტური, კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და მიზანზე ორიენტირებული იყოს. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის არსებობს ურთიერთ თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც სწავლა სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების წინა პირობაა. სწავლებისას დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებით ადგენენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და სწორედ მასზე დაფუძნებით ხდება ახალი საკითხის, თემის მიწოდება და დამუშავება. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასაგებად გამოყენებულია არაერთი საშუალება: შემაჯამებელი სამუშაო, დიაგნოსტირება საჭირო საკითხებზე და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ; სადამრიგებლო პროგრამები.
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ის იძლევა ნათლად და მკაფიოდ მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და საკუთარი შემოქმედებითი უნარების პრეზენტაციისა და გამოვლენის საშუალებას. ამ კუთხით მოსწავლეები ინტერაქტიულები არიან სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ინტერაქციის მექანიზმს იცნობს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა. გარდა ამისა კომპლექსური დავალებების ფორმა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან. ის შედგენილია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების სტრუქტურა და მისი თემატური ხასიათი. მოსწავლეები სწავლობენ ფიქრს, მსჯელობას, პრობლემის გადაჭრას, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ ყველაფერში კი მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით. სკოლის დარბაზის უქონლობის გამო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე იყენებენ საკლასო ოთახს, სადაც ახდენენ სხვადასხვა მოძრავი თამაშების განხორციელებას და ამასთანავე ითვალიწინებენ კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლას აქვს გარე მოედანი, რომელსაც აქტიურად იყენებენ კარგი ამინდის შემთხვევაში, როგორც საგაკვეთილო აქტივობებისთვის ასევე ფესტივალებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად. კომპიუტერული ტექნოლოგიებში კურიკულუმი დაგეგმილია კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, მასწავლებელმა დავალებები აირჩია და დაგეგმა ისე, რომ სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები კარგადაა გააზრებული. ამ ეტაპზე ყველა კლასისთვის მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით შექმნილია კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო, თუმცა განხორციელებას საფრთხეს უქმნის მხოლოდ ერთ სასწავლო კორპუსში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

2. მასწავლებლები ქმნიან ისეთი სახის კომპლექსურ დავალებებს, რომელიც შენდება წინარე ცოდნაზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშიროს უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნასა სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე ახდენენ გამოცდილების გაზიარებას, ახორციელებენ შესასწავლი თემატიკის / მასალის დიაგნოსტირებას და მიღებულ შედეგებს უსადაგებენ ახალ მასალას, ისე რომ შეიკრას მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებში მთლიანი ცოდნის კონსტრუქცია. ძველი და ახალი მასალის ურთიერთთან კონსტრუქტივისტული მიდგომებით აქვთ შედგენილი საგნის კურიკულუმები, რომელიც შედგენისას გათვალისწინებულია კათედრის სხდომაზე ურთიერთ შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ცოდნის ამგვარად დაკავშირების მექანიზმს იცნობს და არეგულირებს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია და სასკოლო სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. დაწყებით საფეხურზე სწავლებისას აქტიურადაა გამოყენებული სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი, რომლებიც სწავლების ბაზისად მიიჩნევს სწავლის სწავლების პრინციპებს. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი თემატური კომპლექსური დავალებები ისეთი სტრუქტურითა და მიდგომებითაა შექმნილი, რომ მოსწავლე დავალებაზე მუშაობისას იღებს თემატიკის შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. ამ ცოდნის გადაცემა არა მზა ინფორმაციის მიწოდებით, არამედ თავად მოსწავლეების მიერ ხორციელდება. ისინი ეცნობიან და ეუფლებიან სწავლების მექანიზმებსა და უნარებს. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები იძენენ სწავლებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს. იძიებენ, ეცნობიან, აკვირდებიან, აანალიზებენ, ახდენენ მიღებული ინფორმაციის ორგანიზებას, დახარისხებასა და საჭირო დროს საჭირო პრაქტიკულ მოცემულობაში მიღებული ცოდნის გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. დაწყებით საფეხურზე სწავლება სრულად იზიარებს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებს მოსწავლეთა მიერ დაუფლებული ინფორმაციის დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულ ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიღებას. სწავლისადმი აღნიშნული შეფასების კუთხით დამოკიდებულება მკაფიოდ იკვეთება იმ კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითებში, საკითხებში, პირობასა და სტრუქტურაში, რომლითაც ხორციელდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში საგნობრივი ცნებების დამუშავებისას. მასწავლებელთა მიერ შედგენილი კომპლექსური დავალებები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მოსწავლეები თავად მიდიან ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობებისაკენ. საგნობრივი ჭრილის სწავლება რომ ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას ნათლად ვლინდება კომპლექსური დავალებების პირობებსა და ცოდნის ამგვარი გაგების მექანიზმს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლეები ახდენენ მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას და ახორციელებენ მიღებული ცოდნის ორგანიზებას. ეს ყოველივე კი მოსწავლეში მიღებული ინფორმაციის შესახებ კომპლექსურსა და მრავალფეროვან ცოდნას განსაზღვრავს. დავალებებში ისეა პირობა გაწერილი, რომ მოსწავლე მარტივად, რიგ შემთხვევაში მასწავლებლის რეკომენდაციებით, მოახდენს ცოდნის ორგანიზებას და მრავალი მიღებული ცოდნის თემატურ დაჯგუფებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი პროგრამები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგამრიგებლო პროგრამები;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები,
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შემიძლია დავასვნა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქვეცნებათა იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო რესურსებით. მე-5-6 კლასების კურიკულუმები სრულყოფილადაა დაგეგმილი, შესაბამისი ქვეცნებები,ქვესაკითხები ზუსტად მიემართება კომპლექსური დავალების პირობას, აგრეთვეკ ათედრას განსაზღვრული აქვს ყველა თემაში დაამუშავოს კომპლექსური დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრის საგნების კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი დაწყებით საფეხურზე სწავლების ფარგლებში რომ, მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესისას არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარების შესაძლებლობას შეძლებენ, არამედ მათში განვითარდება მათივე პიროვნულ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობა. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა თავად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის პროცესი, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. მას მიეცემა საშუალება დაფიქრდეს, დააკვიდეს, გააანალიზოს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი მხარეები და საჭიროებები, გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი თვისებები. მართოს საკუთარი პიროვნული ემოციები. მოახდინოს საკუთარი თავის თვითრეგულაცია, ჩამოუყალიბდეს სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ემოციისა და ნაფიქრის სხვისთვის გაზიარების უნარი. გახდეს სხვათა მიმართ ემპათიური, ტოლერანტი, დაეუფლოს გუნდური მუშაობის ტექნიკას და სხვა. კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და დავალებაზე მუშაობის პრინციპები სრულად ემიზნება და ემსახურება მოსწავლეთა ფსიქო - სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში დაწყებით საფეხურზე სწავლებისას მოსწავლეთა შეფასებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები არის როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტური გავითარებას. მასწავლებელთა მიერ წერილობითი, ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისას გაკეთებული შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეთა შეფასების ამგვარი განხორციელების ტექნიკა და სტრატეგიები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით დაწყებითი კლასების მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კირტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტვყიერად ფასდება მოსწავლის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას შემუშავებული და დამტიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი - შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. საჭიროა სასწავლო წლის განმავლობაში სკოლამ დაამუშაოს წარმოდგენილი დოკუმენტი და გაწეროს კონკრეტული ინსტრუმენტები/პროცედურები/მექანიზმები ვერიფიკაცის პროცესის ჩასატარებლად.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.03.2024წ პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს შეფასების სიტემის სრულყოფილი ვერიფიკაციის დოკუმენტი.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

6. სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებლის ანგარიშში, და ინახება კანონდმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე მოსწავლეთა ნამუშევრებს ინახავენ კათედრზე. რაც შეეხება შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების შენახვას, გაწერილია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“, ის განისაზღვრება მოსწავლის ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შენახვით მანამ, სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში. 2023-24 წლიდან ცვლილება შევა სკოლის დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“ და შემაჯამებელი ნამუშევრები

შენახული იქნება სწავლების საფეხურის დამლევამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი პროგრამები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშორმლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, მასწავლებელთა ურთეირდთადსწრების ოქმი,საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად და განსავითარებლად სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში მესამე თაობის ესგ-ს, ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს და დაგეგმილი აქვს სხვადასხვა პროექტის განხროციელება,შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, წარმოდგენილი თემებითა და კომპლექსური დავალების იდეებით, მასწავლებლებთან გასაუბრება, იძლევა საშუალებას, რომ დავადასტურო ზემოთ აღნიშნული.სკოლაში არის პრაქტიკა შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებისთვის ხორციელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლობის გზით, აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთნ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ფეიბუქგვერდი;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მოხდება მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესწავლა, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.აგრეთვე სკოლას მითითებული აქვს swot- ანალიზის გაკეთების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.კათედრებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**3. ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშ იკითხებოდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასების ნაკლები გამოცდილება ჰქონდა სკოლას, მაგრამ გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ პრაქტიკა აქვთ სასწავლო პროცესის შეფასების.

დაწყებით საფეხურზე შეფასება ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე და სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა თვითშფასება და ურთიერთშფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას და ზოგადად სკოლას სამუშაო აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება არ აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. ყოველდღიურ პრაქტიკაში ხორციელდება, მაგრამ არ აქვს მონაცემთა შეგროვების მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. შეაგროვებენ როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების პრინციპებს ადგილი ეთმობა, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა მუშაობს ისეთ შეფასების კრიტერიუმებებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი, კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ანუ, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა- სწავლების პროცესზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პარაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. მათ აქვთ გამოცდილება, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, მშობლების, დირექციისა თუ მოსწავლეთა შეხედულებების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შემუშავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ინტერვიურებისას პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან , ინიშნაავენ დანერგვის პროცესს: აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გარკვეული გამოცდილება(მაგ. შემაჯამებლების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგელია საბაზო საფეხურის კურიკულუმები, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას ნაკლებად აქვს გამოცდილება ახალი, მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით კურიკულუმების შემუშავების, თუმცა კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშავეს და დანერგეს სიახლეები, კურიკულუმის შემუშავების და კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა, რომელიც გათვალისწინებულია დავალების ბარათების შექმნით და მშობლებისთვის გაცნობით. საგნობრივ ნაწილში სკოლას აქვს მითითებული ის აქტივობები რომელიც უნდა განახორციელოს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მაგ: საკითხების შერჩევა, საკითხების განსაზღვრა, ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენა, პედაგოგებმა დაასახელეს სასკოლო ჩართულობის მაგალითები. ასევე აღნიშნავდნენ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგიის შექმნისას, მათთვის ამოსავალი იყო სკოლის ფილოსოფია. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ სკოლას არ აქვს დარბაზი. ამიტომ ზუსტად მოარგეს და აირჩიეს ის სასკოლო თემები რომელიც მორგებული იქნებოდა სკოლის ინფრასტუქტურას და მოსწავლეების შესაძლებლობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განაცხადის ფორმაში იკითხება, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმი განიხილეს კათედრებზე და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყვეს და გაითვალისწინეს სხვა კათედრებთან ინტეგრირებული თემები. მასწავლებელს აქვს ბლოგი, რომელზეც ატვირთული აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების მასალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები.
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 საგნების სწავლების დაგეგმა და განხორციელება ხდება მასწავლებელთა მიერ წინასწარ შედგენილი კურიკულუმის გამოყენებით. თითოეული საგნის შესაბამისი კურიკულუმი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის აქტიური ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად. შემუშავებული კურიკულუმი კარგად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები აშკარად ორიენტირებულია სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებულ როგორც გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აშკარა დადასტურებაა იმასა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული. აღნიშნული საგნების კურიუკულუმების მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში ზოგადი განათლების საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ნათლად ასახავს სკოლაში არსებული სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნების სწავლება სრული შესაბამისობითა წარმოდგენილი და სრული თანხვედრით ხორციელდება (განხორციელდება მომდევნო სასწავლო წელსაც) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით. სწავლებისას დაგეგმილი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით არის ჩამოყალიბებული ის ქვეცნებები, საკითხები და შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რაც სასწავლო პროცესის პოზიტიური დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნების სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით მთელი სასწავლო პროცესი. თითოეული საგნის ფარგლებში შესასწავლი სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება, მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით სრულად მოცული იქნება საგნებისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. გარდა აღნიშნული გარემოებისა, საზოგადოებრივი მეცნიერების ჭრილში შემავალი ყველა საგნის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციურ უნარების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული უნარების სწავლება განხორციელდება დაგეგმილი კომლექსური დავალებებით და კომპლექსური ტიპის პროექტული სახის მრავალფეროვანი დავალებებით. ყველა სახის დავალება თავის თავში მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, საკითხის ირგვლივ დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებასა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული ამა თუ საგნისათვის გათვალისწინებულ კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ სფეროს არეგულირებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში საგნების სწავლება ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სასწავლო პროცესისადმი ამგვარი მიდგომები და დამოკიდებულებები აღიარებულია და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით: შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიითა და საგნობრივ კურიკულუმებში. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის ფორმას მოსწავლეები თავად ირჩევენ, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი, გრაფიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჩანახატი, დიაგრამები თუ და სხვა. სწავლისადმი ასეთი მიდგომა შესანიშნავად იძლევა მოსწავლეთა პიროვნული შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების რეალიზების შესაძლებლობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისას გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლები საკუთარი პროფესიული პრაქტიკული გამოცდილებიდან და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და სრული მზაობაც აქვთ. სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან პიროვნული და პროფესიული მზაობა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შექმნაში მოაწილეობა აქვთ მიღებული საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ გაერთიანებაში შემავალ მასწავლებლებს, სხვა კოლეგენთან კონსულტაციისა და კოორდინაციის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და ამჟამად მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ და სისიტემატიურ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შედგენის მექანიზმი და საგნობრივი ჭრილით შექმნილი თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი კომპლექსურ დავალებათა პირობებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში. განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზირება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებამდე და სად მივიდა საკითხზე მუშაობის დროს, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები არის საჭირო მიზნამდე მისასვლელად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5 . საგნების სწავლებისას ხორციელდება წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებით ადგენენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის დონესა და მდგრადობას. სწორედ არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდეგ ხდება ახალი საკითხის, ინფორმაციისა და თემის მიწოდება და დამუშავება. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასაგებად გამოყენებულია არაერთი საშუალება: შემაჯამებელი სამუშაო, დიაგნოსტირება საჭირო საკითხზე და სხვა. მასწავლებლები საკუთარ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კათედრის წევრ კოლეგებს, ახდენენ მათ ანალიზსა და სახავენ ერთობლივად სამომავლო გეგმებს. აღნიშნული პრაქტიკის ნათელი დადასტურებაა იმ შეხვედრის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კათედრის სხდომის ოქმებში. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარე - გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება საჭირო საკითხის ირგვლივ კვლევა და დიაგნოსტირება, რათა მომავალი სასწავლო პროცესი კიდევ უფრო პროდუქტიული, რელევანტური, კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და მიზანზე ორიენტირებული იყოს. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის არსებობს ურთიერთ თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც სწავლა სწავლების პროცესის ურთიერთადგეგმვისა და გახორციელების წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ; სადამრიგებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ის იძლევა ნათლად და მკაფიოდ მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და საკუთარი შემოქმედებითი უნარების პრეზენტაციისა და გამოვლენის საშუალებას. ამ კუთხით მოსწავლეები ინტერაქტიულები არიან სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ინტერაქციის მექანიზმს იცნობს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა. გარდა ამისა კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებების ფორმა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან. ის შედგენილია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების სტრუქტურა და მისი თემატური ხასიათი. მოსწავლეები სწავლობენ ფიქრს, მსჯელობას, პრობლემის გადაჭრას, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ ყველაფერში კი მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით. სკოლის დარბაზის უქონლობის გამო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები იყენებენ საკლასო ოთახს, სადაც ახდენენ სხვადასხვა მოძრავი თამაშების განხორციელებას და ამასთანავე ითვალიწინებენ კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლას აქვს გარე მოედანი, რომელსაც აქტიურად იყენებენ კარგი ამინდის შემთხვევაში, როგორც საგაკვეთილო აქტივობებისთვის ასევე ფესტივალებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლაში არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების , ცხრილების მწირი ჩამონათვალი, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების და მაღალი სააზროვნო უნარების , მათ შორის კვლევითი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.; სკოლას არ გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, თუმცა მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას და სხვადასხვა პლატფორმას მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებლები ქმნიან ისეთი სახის კომპლექსურ დავალებებს, რომელიც შენდება წინარე ცოდნაზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშიროს უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნასა სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე ახდნენ გამოცდილების გაზიარებას, ახორციელებენ შესასწავლი თემატიკის / მასალის დიაგნოსტირებას და მიღებულ შედეგებს უსადაგებენ ახალ მასალას, ისე რომ შეიკრას მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებში მთლიანი ცოდნის კონსტრუქცია. ძველი და ახალი მასალის ურთიერთთან კონსტრუქტივისტული მიდგომებით აქვთ შედგენილი საგნის კურიკულუმები, რომელიც შედგენისას გათვალისწინებულია კათედრის სხდომაზე ურთიერთ შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ცოდნის ამგვარად დაკავშირების მექანიზმს იცნობს და არეგულირებს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია და სასკოლო სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. საბაზო საფეხურზე სწავლებისას აქტიურადაა გამოყენებული სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი, რომლებიც სწავლების ბაზისად მიიჩნევს სწავლის სწავლების პრინციპებს. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი თემატური კომპლექსური დავალებები ისეთი სტრუქტურითა და მიდგომებითაა შექმნილი, რომ მოსწავლე დავალებაზე მუშაობისას იღებს თემატიკის შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. ამ ცოდნის გადაცემა არა მზა ინფორმაციის მიწოდებით, არამედ თავად მოსწავლეების მიერ ხორციელდება. ისინი ეცნობიან და ეუფლებიან სწავლების მექანიზმებსა და უნარებს. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები იძენენ სწავლებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს. იძიებენ, ეცნობიან, აკვირდებიან, აანალიზებენ, ახდენენ მიღებული ინფორმაციის ორგანიზებას, დახარისხებასა და საჭირო დროს საჭირო პრაქტიკულ მოცემულობაში მიღებული ცოდნის გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.საბაზო საფეხურზე სწავლება სრულად იზიარებს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებს მოსწავლეთა მიერ დაუფლებული ინფორმაციის დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულ ცოდნის მიღებას. სწავლისადმი აღნიშნული შეფასების კუთხით დამოკიდებულება მკაფიოდ იკვეთება იმ კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითებში, საკითხებში, პირობასა და სტრუქტურაში, რომლითაც ხორციელდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში საგნობრივი ცნებების დამუშავებისას. მასწავლებელთა მიერ შედგენილი კომპლექსური დავალებები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მოსწავლეები თავად მიდიან ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობებისაკენ. საგნობრივი ჭრილის სწავლება რომ ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას ნათლად ვლინდება კომპლექსური დავალებების პირობებსა და ცოდნის ამგვარი გაგების მექანიზმს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლეები ახდენენ მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას და ახორციელებენ მიღებული ცოდნის ორგანიზებას. ეს ყოველივე კი მოსწავლეში მიღებული ინფორმაციის შესახებ კომპლექსურსა და მრავალფეროვან ცოდნას განსაზღვრავს. დავალებებში ისეა პირობა გაწერილი, რომ მოსწავლე მარტივად, რიგ შემთხვევაში მასწავლებლის რეკომენდაციებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოახდენს ცოდნის ორგანიზებას და მრავალი მიღებული ცოდნის თემატურ დაჯგუფებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი პროგრამები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგამრიგებლო პროგრამები;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები,
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შემიძლია დავასვნა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქვეცნებათა იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო რესურსებით. მე-5-6 კლასების კურიკულუმები სრულყოფილადაა დაგეგმილი, შესაბამისი ქვეცნებები,ქვესაკითხები ზუსტად მიემართება კომპლექსური დავალების პირობას, აგრეთვეკ ათედრას განსაზღვრული აქვს ყველა თემაში დაამუშავოს კომპლექსური დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრის საგნების კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი საბაზო საფეხურზე სწავლების ფარგლებში რომ, მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესისას არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარების შესაძლებლობას შეძლებენ, არამედ მათში განვითარდება მათივე პიროვნულ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობა. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა თავად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის პროცესი, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. მას მიეცემა საშუალება დაფიქრდეს, დააკვიდეს, გააანალიზოს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი მხარეები და საჭიროებები, გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი თვისებები. მართოს საკუთარი პიროვნული ემოციები. მოახდინოს საკუთარი თავის თვითრეგულაცია, ჩამოუყალიბდეს სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ემოციისა და ნაფიქრის სხვისთვის გაზიარების უნარი. გახდეს სხვათა მიმართ ემპათიური, ტოლერანტი, დაეუფლოს გუნდური მუშაობის ტექნიკას და სხვა. კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და დავალებაზე მუშაობის პრინციპები სრულად ემიზნება და ემსახურება მოსწავლეთა ფსიქო - სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში საბაზო საფეხურზე სწავლებისას მოსწავლეთა შეფასებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები არის როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. მათ შედგენაში კი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტური განვითარებას. მასწავლებელთა მიერ წერილობითი, ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისას გაკეთებული შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეთა შეფასების ამგვარი განხორციელების ტექნიკა და სტრატეგიები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით საბაზო კლასების მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კირტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტვყიერად ფასდება მოსწავლის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას შემუშავებული და დამტიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი - შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება.საჭიროა სასწავლო წლის განმავლობაში სკოლამ დაამუშაოს წარმოდგენილი დოკუმენტი და გაწეროს კონკრეტული ინსტრუმენტები/პროცედურები/მექანიზმები ვერიფიკაცის პროცესის ჩასატარებლად.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.03.2024წ პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს შეფასების სიტემის სრულყოფილი ვერიფიკაციის დოკუმენტი.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

6. სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებლის ანგარიშში, და ინახება კანონდმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე მოსწავლეთა ნამუშევრებს ინახავენ კათედრზე. რაც შეეხება შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების შენახვას, გაწერილია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“, ის განისაზღვრება მოსწავლის ერთი სასწავლო წლის განმავლობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესრულებული სამუშაოების შენახვით მანამ, სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში. 2023-24 წლიდან ცვლილება შევა სკოლის დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ“ და შემაჯამებელი ნამუშევრები
შენახული იქნება სწავლების საფეხურის დაძლევამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი პროგრამები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშორმლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, მასწავლებელთა ურთიერდთადსწრების ოქმი,საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად და განსავითარებლად სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში მესამე თაობის ესგ-ს, ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს და დაგეგმილი აქვს სხვადასხვა პროექტის განხროციელება,შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, წარმოდგენილი თემებითა და კომპლექსური დავალების იდეებით, მასწავლებლებთან გასაუბრება, იძლევა საშუალებას, რომ დავადასტურო ზემოთ აღნიშნული.სკოლაში არის პრაქტიკა შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებისთვის ხორციელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლობის გზით, აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთნ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ფეიბუქგვერდი;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მოხდება მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესწავლა, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.აგრეთვე სკოლას მითითებული აქვს swot- ანალიზის გაკეთების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.კათედრებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშ იკითხებოდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასების ნაკლები გამოცდილება ჰქონდა სკოლას, მაგრამ გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ პრაქტიკა აქვთ სასწავლო პროცესის შეფასების.
საბაზო საფეხურზე შეფასება ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე და სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა თვითშფასება და ურთიერთშფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას და ზოგადად სკოლას სამუშაო აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება არ აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. ყოველდღიურ პრაქტიკაში ხორციელდება, მაგრამ არ აქვს მონაცემთა შეგროვების მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის" ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. შეაგროვებენ როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების პრინციპებს ადგილი ეთმობა, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა მუშაობს ისეთ შეფასების კრიტერიუმებებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი, კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ანუ, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა- სწავლების პროცესზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პარაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. მათ აქვთ გამოცდილება, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, მშობლების, დირექციისა თუ მოსწავლეთა შეხედულებების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შემუშავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ინტერვიურებისას პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან , ინიშნაავენ დანერგვის პროცესს: აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გარკვეული გამოცდილება(მაგ. შემაჯამებლების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგელია საშუალო საფეხურის კურიკულუმები, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას ნაკლებად აქვს გამოცდილება ახალი, მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით კურიკულუმების შემუშავების, თუმცა კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშავეს და დანერგეს სიახლეები, კურიკულუმის შემუშავების და კომპლექსური დავალებების განხორციელებისას გაითვალისწინეს მოსწავლეთა საჭიროებები. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა, რომელიც გათვალისწინებულია დავალების ბარათების შექმნით და მშობლებისთვის გაცნობით. საგნობრივ ნაწილში სკოლას აქვს მითითებული ის აქტივობები რომელიც უნდა განახორციელოს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მაგ: საკითხების შერჩევა, საკითხების განსაზღვრა, ინდივიდუალური საჭიროების გამოვლენა, პედაგოგებმა დაასახელეს სასკოლო ჩართულობის მაგალითები. ასევე აღნიშნავდნენ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგიის შექმნისას, მათთვის ამოსავალი იყო სკოლის ფილოსოფია. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს

გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ სკოლას არ აქვს დარბაზი. ამიტომ ზუსტად მოარგეს და აირჩიეს ის სასკოლო თემები რომელიც მორგებული იქნებოდა სკოლის ინფრასტუქტურას და მოსწავლეების შესაძლებლობებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განაცხადის ფორმაში იკითხება, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმი განიხილეს კათედრებზე და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყვეს და გაითვალისწინეს სხვა კათედრებთან ინტეგრირებული თემები. მასწავლებელს აქვს ბლოგი, რომელზეც ატვირთული აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების მასალები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კათედრის სხდომის ოქმები.
- ინტერვიუ მასწავლებლებთან.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 საგნების სწავლების დაგეგმა და განხორციელება ხდება მასწავლებელთა მიერ წინასწარ შედგენილი კურიკულუმის გამოყენებით. თითოეული საგნის შესაბამისი კურიკულუმი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის აქტიური ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად. შემუშავებული კურიკულუმი კარგად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები აშკარად ორიენტირებულია სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებულ როგორც გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აშკარა დადასტურებაა იმასა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული. აღნიშნული საგნების კურიუკულუმების მიზნობრიობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში ზოგადი განათლების საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ნათლად ასახავს სკოლაში არსებული სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნების სწავლება სრული შესაბამისობითა წარმოდგენილი და სრული თანხვედრით ხორციელდება (განხორციელდება მომდევნო სასწავლო წელსაც) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით. სწავლებისას დაგეგმილი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით არის ჩამოყალიბებული ის ქვეცნებები, საკითხები და შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რაც სასწავლო პროცესის პოზიტიური დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნების სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით მთელი სასწავლო პროცესი. თითოეული საგნის ფარგლებში შესასწავლი სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება, მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით სრულად მოცული იქნება საგნებისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. გარდა აღნიშნული გარემოებისა, საზოგადოებრივი მეცნიერების ჭრილში შემავალი ყველა საგნის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციურ უნარების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული უნარების სწავლება განხორციელდება დაგეგმილი კომლექსური დავალებებით და კომპლექსური ტიპის პროექტული სახის მრავალფეროვანი დავალებებით. ყველა სახის დავალება თავის თავში მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, საკითხის ირგვლივ დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებასა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული ამა თუ საგნისათვის გათვალისწინებულ კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ სფეროს არეგულირებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლაში საგნების სწავლება ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სასწავლო პროცესისადმი ამგვარი მიდგომები და დამოკიდებულებები აღიარებულია და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით: შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიითა და საგნობრივ კურიკულუმებში. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის ფორმას მოსწავლეები თავად ირჩევენ, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი, გრაფიკული ჩანახატი, დიაგრამები თუ და სხვა. სწავლისადმი ასეთი მიდგომა შესანიშნავად იძლევა მოსწავლეთა პიროვნული შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების რეალიზების შესაძლებლობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისას გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლები საკუთარი პროფესიული პრაქტიკული გამოცდილებიდან და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და სრული მზაობაც აქვთ. სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან პიროვნული და პროფესიული მზაობა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შექმნაში მოაწილეობა აქვთ მიღებული საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ გაერთიანებაში შემავალ მასწავლებლებს, სხვა კოლეგენთან კონსულტაციისა და კოორდინაციის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და ამჟამად მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ და სისიტემატიურ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შედგენის მექანიზმი და საგნობრივი ჭრილით შექმნილი თემატიკის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი კომპლექსურ დავალებათა პირობებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში. განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზირება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებამდე და სად მივიდა საკითხზე მუშაობის დროს, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები არის საჭირო მიზნამდე მისასვლელად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5 . საგნების სწავლებისას ხორციელდება წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებით ადგენენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის დონესა და მდგრადობას. სწორედ არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდეგ ხდება ახალი საკითხის, ინფორმაციისა და თემის მიწოდება და დამუშავება. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასაგებად გამოყენებულია არაერთი საშუალება: შემაჯამებელი სამუშაო, დიაგნოსტირება საჭირო საკითხზე და სხვა. მასწავლებლები საკუთარ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კათედრის წევრ კოლეგებს, ახდენენ მათ ანალიზსა და სახავენ ერთობლივად სამომავლო გეგმებს. აღნიშნული პრაქტიკის ნათელი დადასტურებაა იმ შეხვედრის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კათედრის სხდომის ოქმებში. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარე - გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება საჭირო საკითხის ირგვლივ კვლევა და დიაგნოსტირება, რათა მომავალი სასწავლო პროცესი კიდევ უფრო პროდუქტიული, რელევანტური, კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და მიზანზე ორიენტირებული იყოს. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის არსებობს ურთიერთ თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც სწავლა სწავლების პროცესის ურთიერთადგეგმვისა და გახორციელების წინაპირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუ; სადამრიგებლო პროგრამები.
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2. 2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ის იძლევა ნათლად და მკაფიოდ მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და საკუთარი შემოქმედებითი უნარების პრეზენტაციისა და გამოვლენის საშუალებას. ამ კუთხით მოსწავლეები ინტერაქტიულები არიან სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ინტერაქციის მექანიზმს იცნობს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა. გარდა ამისა კომპლექსური დავალებების ფორმა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან. ის შედგენილია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების სტრუქტურა და მისი თემატური ხასიათი. მოსწავლეები სწავლობენ ფიქრს, მსჯელობას, პრობლემის გადაჭრას, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ ყველაფერში კი მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით. სკოლის დარბაზის უქონლობის გამო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები იყენებენ საკლასო ოთახს, სადაც ახდენენ სხვადასხვა მოძრავი თამაშების განხორციელებას და ამასთანავე ითვალიწინებენ კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლას აქვს გარე მოედანი, რომელსაც აქტიურად იყენებენ კარგი ამინდის შემთხვევაში, როგორც საგაკვეთილო აქტივობებისთვის ასევე ფესტივალებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლაში არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების, ცხრილების მწირი ჩამონათვალი, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების და მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის კვლევითი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.; სკოლას არ გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, თუმცა მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას და სხვადასხვა პლატფორმას მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებლები ქმნიან ისეთი სახის კომპლექსურ დავალებებს, რომელიც შენდება წინარე ცოდნაზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშიროს უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნასა სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე ახდენენ გამოცდილების გაზიარებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ახორციელებენ შესასწავლი თემატიკის / მასალის დიაგნოსტირებას და მიღებულ შედეგებს უსადაგებენ ახალ მასალას, ისე რომ შეიკრას მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებში მთლიანი ცოდნის კონსტრუქცია. ძველი და ახალი მასალის ურთიერთთან კონსტრუქტივისტული მიდგომებით აქვთ შედგენილი საგნის კურიკულუმები, რომელიც შედგენისას გათვალისწინებულია კათედრის სხდომაზე ურთიერთ შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ცოდნის ამგვარად დაკავშირების მექანიზმს იცნობს და არეგულირებს კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია და სასკოლო სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. საშუალო საფეხურზე სწავლებისას აქტიურადაა გამოყენებული სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი, რომლებიც სწავლების ბაზისად მიიჩნევს სწავლის სწავლების პრინციპებს. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი თემატური კომპლექსური დავალებები ისეთი სტრუქტურითა და მიდგომებითაა შექმნილი, რომ მოსწავლე დავალებაზე მუშაობისას იღებს თემატიკის შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. ამ ცოდნის გადაცემა არა მზა ინფორმაციის მიწოდებით, არამედ თავად მოსწავლეების მიერ ხორციელდება. ისინი ეცნობიან და ეუფლებიან სწავლების მექანიზმებსა და უნარებს. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები იძენენ სწავლებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს. იძიებენ, ეცნობიან, აკვირდებიან, აანალიზებენ, ახდენენ მიღებული ინფორმაციის ორგანიზებას, დახარისხებასა და საჭირო დროს საჭირო პრაქტიკულ მოცემულობაში მიღებული ცოდნის გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.საშუალო საფეხურზე სწავლება სრულად იზიარებს და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებს მოსწავლეთა მიერ დაუფლებული ინფორმაციის დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულ ცოდნის მიღებას. სწავლისადმი აღნიშნული შეფასების კუთხით დამოკიდებულება მკაფიოდ იკვეთება იმ კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითებში, საკითხებში, პირობასა და სტრუქტურაში, რომლითაც ხორციელდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში საგნობრივი ცნებების დამუშავებისას. მასწავლებელთა მიერ შედგენილი კომპლექსური დავალებები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მოსწავლეები თავად მიდიან ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობებისაკენ. საგნობრივი ჭრილის სწავლება რომ ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას ნათლად ვლინდება კომპლექსური დავალებების პირობებსა და ცოდნის ამგვარი გაგების მექანიზმს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლეები ახდენენ მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას და ახორციელებენ მიღებული ცოდნის ორგანიზებას. ეს ყოველივე კი მოსწავლეში მიღებული ინფორმაციის შესახებ კომპლექსურსა და მრავალფეროვან ცოდნას განსაზღვრავს. დავალებებში ისეა პირობა გაწერილი, რომ მოსწავლე მარტივად, რიგ შემთხვევაში მასწავლებლის რეკომენდაციებით, მოახდენს ცოდნის ორგანიზებას და მრავალი მიღებული ცოდნის თემატურ დაჯგუფებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი პროგრამები;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგამრიგებლო პროგრამები;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები,
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შემიძლია დავასვნა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქვეცნებათა იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო რესურსებით. მე-5-6 კლასების კურიკულუმები სრულყოფილადაა დაგეგმილი, შესაბამისი ქვეცნებები,ქვესაკითხები ზუსტად მიემართება კომპლექსური დავალების პირობას, აგრეთვეკ ათედრას განსაზღვრული აქვს ყველა თემაში დაამუშავოს კომპლექსური დავალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრის საგნების კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი საშუალო საფეხურზე სწავლების ფარგლებში რომ, მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესისას არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარების შესაძლებლობას შეძლებენ, არამედ მათში განვითარდება მათივე პიროვნულ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობა. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა თავად დაგეგმოს და წარმართოს სწავლის პროცესი, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. მას მიეცემა საშუალება დაფიქრდეს, დააკვიდეს, გააანალიზოს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი მხარეები და საჭიროებები, გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი თვისებები. მართოს საკუთარი პიროვნული ემოციები. მოახდინოს საკუთარი თავის თვითრეგულაცია, ჩამოუყალიბდეს სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ემოციისა და ნაფიქრის სხვისთვის გაზიარების უნარი. გახდეს სხვათა მიმართ ემპათიური, ტოლერანტი, დაეუფლოს გუნდური მუშაობის ტექნიკას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვა. კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და დავალებაზე მუშაობის პრინციპები სრულად ემიზნება და ემსახურება მოსწავლეთა ფსიქო - სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში საშუალო საფეხურზე სწავლებისას მოსწავლეთა შეფასებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები არის როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტური გავითარებას. მასწავლებელთა მიერ წერილობითი, ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისას გაკეთებული შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. მოსწავლეთა შეფასების ამგვარი განხორციელების ტექნიკა და სტრატეგიები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლბლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით საშუალო კლასების მშობლებთა კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კირტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტვყიერად ფასდება მოსწავლის შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5.სკოლას შემუშავებული და დამტიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი - შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება.საჭიროა სასწავლო წლის განმავლობაში სკოლამ დაამუშაოს წარმოდგენილი დოკუმენტი და გაწეროს კონკრეტული ინსტრუმენტები/პროცედურები/მექანიზმები ვერიფიკაცის პროცესის ჩასატარებლად.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 22.11.2023 – 22.03.2024წ პერიოდში სკოლამ უნდა შეიმუშაოს შეფასების სიტემის სრულყოფილი ვერიფიკაციის დოკუმენტი.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებლის ანგარიშში, და ინახება კანონდმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე მოსწავლეთა ნამუშევრებს ინახავენ კათედრზე. რაც შეეხება შემაჯამებელი სამუშაოების, როგორც მტკიცებულების შენახვას, გაწერილია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ", ის განისაზღვრება მოსწავლის ერთი სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შენახვით მანამ, სანამ მოსწავლე სამართლებრივი აქტის საფუძველზე გადავა მომდევნო კლასში. 2023-24 წლიდან ცვლილება შევა სკოლის დოკუმენტში „შეფასების სისტემის შესახებ" და შემაჯამებელი ნამუშევრები
შენახული იქნება სწავლების საფეხურის დაძლევამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის საგნობრივი პროგრამები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. შესწავლილი მტკიცებულებებისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშორმლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, მასწავლებელთა ურთეირდთადსწრების ოქმი,საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად და განსავითარებლად სკოლა იყენებს სასწავლო პროცესში მესამე თაობის ესგ-ს, ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს და დაგეგმილი აქვს სხვადასხვა პროექტის განხროციელება,შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები, წარმოდგენილი თემებითა და კომპლექსური დავალების იდეებით, მასწავლებლებთან გასაუბრება, იძლევა საშუალებას, რომ დავადასტურო ზემოთ აღნიშნული.სკოლაში არის პრაქტიკა შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა, რაც მოსწავლეზე ორიენტირებისთვის ხორციელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ თანამშრომლობის გზით, აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთნ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყობს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას.სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის ფეიბუქგვერდი;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მოხდება მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესწავლა, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება.აგრეთვე სკოლას მითითებული აქვს swot- ანალიზის გაკეთების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. ურთიერთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. ამგვარი ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის არის გამიზნული. საუბრისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.კათედრებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**3. ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშ იკითხებოდა, რომ სასწავლო პროცესის შეფასების ნაკლები გამოცდილება ჰქონდა სკოლას, მაგრამ გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ პრაქტიკა აქვთ სასწავლო პროცესის შეფასების. საშუალო საფეხურზე შეფასება ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე და სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა თვითშფასება და ურთიერთშფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. მასწავლებელი საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა, თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას და ზოგადად სკოლას სამუშაო აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება არ აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. ყოველდღიურ პრაქტიკაში ხორციელდება, მაგრამ არ აქვს მონაცემთა შეგროვების მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. შეაგროვებენ როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მონაცემებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მიერ დამტკიცებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეფასების პრინციპებს ადგილი ეთმობა, პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა მუშაობს ისეთ შეფასების კრიტერიუმებებზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი, კერძოდ, საკლასო გარემო, მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ანუ, ყველა ის ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა- სწავლების პროცესზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პარაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. მათ აქვთ გამოცდილება, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, მშობლების, დირექციისა თუ მოსწავლეთა შეხედულებების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შემუშავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ინტერვიურებისას პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები აკვირდებიან , ინიშნაავენ დანერგვის პროცესს: აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გარკვეული გამოცდილება(მაგ. შემაჯამებლების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ნაკიფუს თემის N1 საჯარო საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 04.12.2023 წელი











ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---